



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 842

29 12 2017წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის პროექტის მენეჯერის - ეკატერინე ნაცვლიშვილის 2017 წლის 29 დეკემბრის №1597573; №1597566 და №1597576 და №1598765 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) დანართი №72-ით დამტკიცებული „მექანიკა და ლითონის დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის სახით;

- ბ) დანართი №77-ით დამტკიცებული „სამთო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის №2-ის სახით;
- გ) დანართი №82-ით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის №3-ის სახით;
- დ) დანართი №83-ით დამტკიცებული „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის №4-ის სახით;
- ე) დანართი №94-ით დამტკიცებული „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის №5-ის სახით;

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე